ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი #2

26 ივლისი 2023 წელი

ხონის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი № 2

26 ივლისი 2023 წელი

ქ. ხონი

2023 წლის 26 ივლისს, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში,ხონის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის კობა კუბლაშვილის ხელმძრვანელობით საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა , რომელსაც ესწრებოდნენ წევრები : გელა ჩოგოვაძე, ზაზა ვაშაკიძე, ზაზა რუხაძე, ელისო ჯიქია, გურამ ბახტაძე, ზურაბ მიქაძე, ბაჩანა ბასილაია, თამარ უგულავა,თეკლა ონიანი, აკაკი ქვათელაძე, მანანა აკობიძე, ლევან ჩიხლაძე. ასევე მოწვეული სტუმარი ზაზა ცაავა - მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებისთ გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.

შეხვედრის დრის წესრიგი:

1. ხონის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებისა და საბჭოს წევრთა ცვლილების შესახებ- მომხსენებელი კობა კუბლაშვილი-ხონის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.
2. ,, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის,, ფარგლებში განხორციელებული სოფლის კრებებისა და დასახლებების საერთო კრებების გენდერული ანალიზი და შედეგები - მომხსენებელი ელისო ჯიქია- მერიის გებდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, საბჭოს წევრი;
3. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებები - მომხსენებელი ზაზა ცაავა -მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.
4. 2023 წლის სტატუსტუკური მონაცემების დამუშავება, ფუნქციების გადანაწილება- მომხსენებელი აკაკი ქვათელაძე- საბჭოს მდივანი;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე: მომხსენებელმა კობა კუბლაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება , საბჭოს წევრთა შემცირებასთან დაკავშირებით და აღნიშნა: ,,წინარე სხდომებმა გვიჩვენა , რომ საბჭოს შეკრება და 23 წევრის სრულად მობილიზება ვერ ხდება. იმისათვის რომ ჩვენი მუშაობა გაცილებით მოქნილი და ეფექტური იყოს , კარგი იქნება თუ ამ მიმართულებით გარკვეულ ღონისძიებებს გავატარებთ - შევამციროთ საბჭოს წევრთა რაოდენობა და შესაბამისი ცვლილებები შევიტანოთ დებულებაში. ვფიქრობ , ამის საჭიროება გვიჩვენა პრაქტიკამ ,,.

დღის წესრიგით გათვაისწინებულ მეორე საკითხზე:მომხსენებელმა ელისო ჯიქიამ ,, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის,, სოფლის კრებებისა და დასახლებების საერთო კრებელის გენდერული ანალიზი წარმოადგინა და განმარტა :,, ქალთა ჩართულობის თვალსაზრისით ყველაზე მაღალი პროცენტები დადგინდა სოფლებში უძლორში (71,42%), რონდიშში (57,14%) და გოჩა - ჯიხაიშში (48,54%). მიხედავად ამისა საერთო სურათი არ არის სახარბიელო, ამიტომ მნიშვნელოვანია გარკვეული ღონისძიებებით, ქმედებებით მოხდეს ქალთა წახალისება, რომ მაქსიმალურად ისმოდეს მათი ხმა გადაწვეტილების მიღების პროცესში,,.

დღის წესრიგით გათვაისწინებულ მესამე საკითხზე: მომსხენებელმა მარზაზა ცაავამ ,, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების,, პროგრამაში დაგეგმილი ცვლილებები წარმოადგინა:

1) ცელიაკიის დიაგნოზის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა დახმარების დაგეგვმა / განსაზღვრა.

,,აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მშობლის მომართვისა და სოფლის ამბულატორიების ექიმების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა ერთი პაციენტი, რომლის საჭიროებაც იქნა შესწავლილი . წარმოგიდგენთ პროექტს , რომელსაც უახლოეს პერიოდში გავაცნობთ საკრებულოს. მსგავსი დიაგნოზის მქონე ბავშვებს მერია დაეხმარება თვეში 250 ლარის ოდენობით,,.

2)მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამაში არსებული სტატუსის,,მარტოხელა დედის ,, ჩანაცვლება ,,მარტოხელა მშობლის,, სტატისით.

,, აღნიშნული ცვლილების განხორციელება სოციალური სამართლიანობისა და სწორი გენდერული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნია.შესაბამისად წარმოგიდგენთ ცვლილების პროექტს და მოვისმენთ თქვენს რეკომენდაციებს,,.

3) ონკოპაციენტთათვის გამოწერილი დასაფინანსებელი მედიკამენტების ნუსხის განსაზღვრა/დადგენა.

,,,პაციენტები ხშირად მოგვმართავენ იმ მედიკამენტების დაფინანსების მ,იზნიტ, რომელიც მათ ძირითად დიაგნოზთან არ არის დაკავშირებული და არ წარმოადგენს სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკემენტებს. მომზადდა ცვლილებების პროექტი, რომელის მიხედვითაც მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდება მხოლოდ ინკომედიკამენტები,,.

დღის წესრიგით გათვაისწინებულ მეოთხე საკითხზე: მომხსენებელმა აკაკი ქვათელაძემ ისაუბრა და საბჭოს წევრებს 2023 წლის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებსა და ა(ა)იპებში არსებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების საორგანიზაციო საკითხებზე. იქვე აღნიშნა, რომ ,, ამ პროცესში მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ორგანიზაციების მზაობა და თანამშრომლობის სურვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასურველი შედეგი არ გვექნება,,.

საბჭოს წევრებმა წარმოდგენილ საკიებზე იმსჯელეს და შეიმუშავეს შემდეგი **რეკომენდაციები:**

პიველი საკითხი: სასურველია, ხონის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და მოხდეს საბჭოს წევრთა რაოდენობის დაზუსტება/განახლება.

მეორე საკითხი: ,, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის,, გენდერული ანალიზის მიხედვით გამოვლენილ სამ სოფელში - რონდიშში, უძლოურსა და გოჩა- ჯიხაიშში, სადაც ქალთა ჩართულობა მაღალი იყო, სასურველია განხორციელდეს დამატებითი საჭირო ინფრასტრუქტურული სამუშაოები , წამახალისებელი აქტივობები/ ღონისძიებები. პროცესი ხელს შეუწყობს ქალთა ინფორმირებულობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის გაზრდას.

მესამე საკითხი: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამაში დაგეგმილი ცვლილებებისთვის სასურველია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1)სასურველია, ცელიაკიის მხარდამჭერი პროგრამის პროექტთან დაკავშირებით, განხორციელდეს მეტი მოკვლევა და მოხდეს საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა, რათა პროგრამის მიღმა არ დარჩეს ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის აღნიშნული დიაგნოზის მქონე ბავშვი.

2) ,, მარტოხელა დედის ,, სტატუსის ცანაცვლება ,, მარტოხელა მშობლის ,, სტატუსით არის სწორი გადაწყვეტილება , ასეთი გადაწყვეტილებები მიუთითებს , რომ სწორი გენდერული პოლიტიკა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის პრიორიტეტული საკითხია.

3) ონკოლოგიური მედიკამენტების ნუსხის განსაზღვრის დროს , ჩვენი მოსაზრებით, სასურველია მხოლოდ მკურნალი ონკოლოგის მიერ გაცემული რეცეპტი და მითითებული მედიკამენტები დაფინანსდეს.

მეოთხე საკითხი: სასურველია, საჭირო სტატისტიკური ინფორმაციები (დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში, შემოსული და გასული განცხადებების, ზარების რაოდენობა, ღონისძიებებზე დამსწრეტა რაოდენობა, გაწეული კონსულტაციების რაოდენობა და ა.შ) დამუშავდეს ყველა ა(ა)იპის , სამსახურისა და განყოფილების დონეზე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ კენჭი ეყარა შემუშავებულ რეკომენდაციებს და სხდომა დახურულად გამოცხადდა;

ხონის გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარე: კობა კუბლაშვილი

მდივანი : აკაკი ქვათელაძე